

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10 — 11.  
შპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.  
მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 3

1883—1903

15 თებერვალი

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

**სალიტერატურო განყოფილება:** აუხსნელი და განუმარტებელი კითხვები.—იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დებუტატა კრება ქ. ქუთაისში 15 დეკემბერს 1902 წ.—სამღვდლოებაში თუთუნის წვევის შესახებ.—ჩემი თავ-გადასავალი.—სამეგრელოს უგანათლებულეს თავადის ნიკოლოზის გვამის მოხვეწება.—ახალი ამბები და შენიშვნები.


**სწავლა და მცენიერება ქრისტიანობაში სარწმუნოებასა და კეთილ-ჯანმრთელობა:** მოძღვრება, თქმული 19 იანვარს,—ღირსი მამა ანტონ მარტო-მყოფელის დღეს. ყ-დ სამღვ. იმერ. ეპისკოპოსის ლეონიდის მიერ.

**სამკურნალო და ჰიგიენური განყოფილება:** ექიმის საუბარი გულისხმიერ მკითხველთან. ექიმი ვ. ლ—ძე.  
—განცხადებანი

## აუხსნელი და განუმარტებელი კითხვები.

ასეთ კითხვებად სამრევლო-ეკლესიურ მსახურებაში უნდა ჩაითვალოს ქორწინების შესრულებისათვის ყველა ის გაფრთხილებანი და გამოკვლევანი, რომელთა შეკრებასავალდებულოა ყოველ კრებულთათვის. ყოველი ეკლესიის კრებული და განსაკუთრებით მღვდელი (რომელზედაც არის დამოკიდებული ქორწინების შესრულების გადაწყვეტა)

ცხადად ხედავს ქორწინებისათვის კანონის მოთხოვნილებას, რომელიც ქორწინების შესრულების წინეთ არის აღსასრულდელი. მაგრამ, რომელმა მოძღვარმა არ იცის, თუ რა ძნელია ზოგიერთ შემთხვევაში ამ წესების დაცვა? რომელ მათგანს არ გამოუცდია, თუ რა მითქმა-მოთქმას და უსიამოვნებას გამოიწვევს ხოლმე ამ წესების მტკიცედ დაცვა? მართალი რომ სთქვას კაცმა, არც გასაკვირველია საზოგადოების ასეთი შეხედულება ამ წე-



სებზედ და მოთხოვნებივით: მათ ხომ არ ეს-  
მისთ ამის მნიშვნელობა. ავიღოთ თუ გინდ სამ  
გზითი გამოცხადება ეკლესიაში სასიძოსა და სას-  
ძლოზედ, მშობლების თანხმობა და ცნობები გა-  
რეშე სამრევლოს სასიძოებსა და სასძლოებზედ.  
სამ-გზის გამოცხადება სოფლის და პატარა ქალაქის  
ეკლესიებში კიდევ აზრიანია, რადგან მცხოვრებნი  
უფრო დაახლოებით იცნობენ ერთმანეთს, — ისიც  
იმ შემთხვევაში, თუ სასიძო და სასძლო ერთი სამ-  
რევლოსი არიან. რა აზრი უნდა ქონდეს ამ გამო-  
ცხადებას დიდ-ქალაქ. სადაც არა თუ ერთი სამრ.  
შემავალნი არ იცნობენ მეორისას, არამედ თვით სა-  
ეკლესიო კრებულებმაც არ იციან საზღვარი თავის  
სამრევლოებისა? მიუხედავად ამისა, მაინც უნდა  
შეასრულო ეს წესი: არ შეასრულებ და პასუხის  
მგებელი იქნები. თუ კი ამ წესს შეასრულებ,  
როგორც კანონი თხოულობს, მაშინ დაიმსახურებ  
საყვედურს მრევლისაგან და შეიქმნები მათ თვალში  
შემავიწროებელი — ვითომც ამას ჩადიოდეს მოძღვა-  
რი ფულების გამოსატყუებლად. ხან-და-ხან ამასაც  
გაიგონებ: „მაგისთანა ზედმეტ წესებს თავი დაანე-  
ბეთ, შეიძლება უმაგათოდ შეასრულო მღვდელ-  
მოქმედება, თორემ არც ქორწინებაა საჭირო, ისე-  
დაც შეიძლება ცხოვრება“... აი სწორედ ამიტომ  
დამახინჯდა ეს გამოცხადება და ვითომც „ზედ-მეტი“  
შეიქმნა: ხან-და-ხან წირვის შემდეგ ან არა და  
ლოცვის შემდეგ, გაისმის ეკლესიაში მდაბალი  
ხმით დიაკნის გამოცხადება, რომელიც არავის  
ყურადღებას არ იქცევს, რადგან არავის ეჭირვება  
და არ ეინტერესება და ამით თავდება ეს წესი!..

ჩვენს საქართველოში და განსაკუთრებით იმე-  
რეთში, სრულებით არ იყო შემოღებული ეს წესი,  
თუმცა მოწმობებში და საბუთებში კი ყველგან  
სწერია, რომ მტკიცედ იყო აღსრულებული სამ-  
გზითი გამოცხადება! იმერეთში მაინც სამ-გზითი  
გამოცხადებას, ბევრგან სამწუხარო შედეგი მოყვა,  
როცა ეს წესი ასრულდა ზოგიერთი მღვდლისაგან.  
გაიგეს თუ არა, რომ ესა და ეს ქალი და კაცი  
ჯვარს იწერნო, მოინდომეს ზოგიერთ ამ პირთა  
მტრებმა ქორწინების ჩაშლა და კიდევ ჩაშალეს,  
რის გამო ძლიერ უსიამოვნო შედეგი მოჰყვა ამ  
სამ-გზითი გამოცხადებას...

ავიღოთ მეორე კანონის მოთხოვნები —  
მშობლების ნება-ართვა. რასაკვირველია, კანონი

არ ამბობს, თუ რომელ წლოვანების სასიძოს და  
სასძლოს მოსთხოვოს მღვდელმა მშობლების ნება-  
ართვა: არა სრულ წლოვანთა, თუ სრულ წლოვა-  
ნობაში მყოფთაც? ესეც ისე განუმარტებელი რჩება  
დღემდისინ. სრულ წლოვან შვილთა მშობლებმა  
რომ მღვდელს უჩველონ მთავრობასთან იმისთვის,  
რომ მათ ნება-დაურთველად მღვდელმა გვირგვინის  
კურთხევა შეასრულა, უთუოდ პასუხს მოსთხოვენ  
მას, სრული წლოვანი, თავისუფალი და ცალკე  
მცხოვრებიც რომ იყოს.

ამათ გარდა, მღვდლისათვის კიდევ უფრო სა-  
დავიდარაბოა, როცა გარეშე სამრევლოთა პირნი  
თხოულობენ ქორწინების შესრულებას. სიტყვა  
„სამრევლოთაგანი“ არ არის კარგად განმარტებუ-  
ლი. თუ ვუწოდებთ „სამრევლოთაგანს“ მხოლოდ  
მას, ვინც სამრევლოშია დაბადებული, მაშინ ჩვენ  
შევხვდებით მეორე დაბრკოლებას. ესთქვათ ვინმე  
დაიბადა ერთ სამრევლოში, მაგრამ თუთხმეტი წე-  
ლიწადი სხვაგან გაატარა დრო, მის სამრევლოს  
მღვდელმა სრულებით არ იცის მისი მღვდომარეობა  
და მოწმობის მიცემაც კი ეძნელება. ვინც მრევლში  
ცხოვრობს ყველას რომ მრევლის მღვდელი სწერ-  
დეს და თავის სამრევლოთ რაცხდეს, მაშინ უფრო  
დაახლოებით იცნობს, მაგრამ კანონით არა აქვს  
უფლება, თავის მრევლათ ჩარიცხოს, რამდენი წე-  
ლიწადიც უნდა იცხოვროს კაცმა მის მრევლში.

სოფლებში მღვდლებს კიდევ ისე არა აქვთ  
საქმე გაჭირვებული გვირგვინის კურთხევის შეს-  
რულებისთვის, როგორც ქალაქებისა და დაბების  
სამღვდლოებსა. ამ უკანასკნელ ადგილებში კი,  
ყოველი გვირგვინის მაკურთხეველი მღვდელი ად-  
ვილად უნდა მოელოდეს ხიფათსა და შეცდომას:  
ერთი უბრალო წესის დარღვევა, მეტად საშიშო  
შედეგს გამოიწვევს ხოლმე. ამას დაუმატეთ ნათე-  
საობის ხარისხის გამოანგარიშება, რომელიც მღვ-  
დლებისათვის ძლიერ საძნელო არის. ყოველივე  
ეს ხდება იმის გამო, რომ ჯერეთ კიდევ არ არიან  
კარგად გამორკვეულნი ის კანონები, რომელთა  
აღსრულება ქორწინების შესრულებამდისინ სავალ-  
დებულოა მღვდელთათვის.





**იმერეთის ეპარქიის სამღვდელმთავრის დეკრეტატ-  
თა კრება ქ. შუთაისში 15 დეკემბერს 1902 წ.**

(გაგრძელება \*)

მეორე დღეს, ესე იგი, 17 დეკემბერს დეპუტატები შეიკრიბნენ დილის ცხრა საათზე. კრების გახსნის შემდეგ წაიკითხეს წარსული წლის ანგარიში, რომელიც სამღვდელთა დეპუტატებს ის იყო დაურჩევს. სამღვდელთა დეპუტატებს ძლიერ საწყენად დაურჩათ, რომ ანგარიშები არასოდეს არ იბეჭდებოდა სავალდებულო დროებით გამოცემაში და ისიც არა წინდაწინ კრებამდისინ. თუმცა მრავალ გზის დაუდგენია სამღვდელთა დეპუტატებს, რომ ანგარიშების ბეჭედისათვის კერძო სტამბებს ფულს ნუ აძლევდნენ ითხოვეს, რომ წინდაწინ იყოს დაბეჭდილი ანგარიში, რომ ყველას შეეძლოს მისი განხილვა და დაფასება. კრებამ ვალად დაუდგინა სასწავლებლის ზედამხედველს, რომ წინდაწინ იბეჭდებოდეს სასწავლებლის ანგარიში საექსარხოსოს მოამბეში და ისიც ორი თვის წინეთ კრებამდის. ჩვენ არ გვჯერა, რომ ეს კანონიერი მოთხოვნა სამღვდელთა დეპუტატებისა ასრულდეს, რადგან ესევე თქმულა წინეთ, მაგრამ ყურადღება არავენ მიამჩნია...

შემდეგ სასწავლებლის ანგარიშის მიღებისა, სამღვდელთა შეუდგა მომავალ წლის ხარჯთაღრიცხვის (сметы) განხილვას. სამღვდელთა დეპუტატებთან ყოველ წლებით იკრიბება თოთხმეტი ათასი მანეთი ამ სასწავლებლის შესანახად. ექვსი ათასი მანეთი კიდევ ცალკე ეძლევა მონასტრების და საეკლესიო მამულების ფული. ცოტა ხნის მსჯელობის შემდეგ სამღვდელთა დეპუტატებმა მიიღო მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა და შეამოკლა ხარჯი ორას-სამასი მანეთით.

რამდენიმე დეპუტატებმა მოითხოვეს, რომ სასწავ. ხარჯთაღრიცხვის განხილვის შემდეგ განხილულიყო ეპარქიალური სასწავლებლის ხარჯთაღრიცხვა. თავმჯდომარემ წაუკითხა კრებას წერილობითი განცხადება ამ სასწავლებლის საბჭოსი, რომლითაც საბჭო უცხადებდა კრებას, რომ იგი (ე. ი. საბჭო) სავალდებულოდ არ რაცხს, სასწავლებლის ხარჯთაღრიცხვა წარუდგინოს კრებას განსახილველად და

არც სხვა საქმე აქვს კრებასთან, ვინაიდან სამღვდელთა დეპუტატების კრება ამ ბოლო დროს ძლიერ გულგრილად ეპყრობა სასწავლებლის მოთხოვნებსა. ამ განცხადებამ ძლიერ დააღონა სამღვდელთა დეპუტატები. განსაკუთრებით ხანგრძლივი ბაასი გამოიწვია სარევიზიო კომისიის წევრების ანგარიშის წაკითხვამ. „მწყემსი“-ს მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამას წინად კრებამ აღიჩინა კომიტეტი მღვდ. სამსონ შენგელიას, მღ. ზ. ჩიქვილიძისა და მღვდ. აფხაიძისაგან, რომელთაც დაავალა განეხილა შესავალ-გასავლის წიგნები და შეედარებია ანგარიშებთან ყველა ხარჯები. ეს კომიტეტი მიეღოთ და ერთი წლის წიგნები მიეცათ განსახილველად. კომიტეტის აქტიდან, რომელიც კრებაზე იყო წაკითხული სჩანდა, რომ ანგარიშები რევიზიამ არ ყოფილიყო ნაწარმოები. სარევიზიო კომიტეტის ყველა წიგნიშენაზე საბჭოს პასუხი შეეტანა მათ მეთუფებასთან, რომელიც კრებას გადმოსცა და ისიც წაკითხული იყო კრებაზე. ამ განმარტების შემდეგ კომიტეტის თავმჯდომარემ—მღვდელმა სამსონ შენგელიამ მოახსენა კრებას შემდეგი:

„სამღვდელთა დეპუტატების კრებამ მოგვანდო ჩვენ, რომ სასწავლებლების ანგარიშები განგვეხილა და რასაც ვნახავდით, შემდეგი კრებისათვის მოგვეხსენებია. ჩვენ ჩვენი მოვალეობის აღსრულებას შეუდევით, მაგრამ პირველად ეპარქიის ქალების სასწავლებლის საბჭო არ გვაძლევდა არც წიგნებს და არც ანგარიშებს. ჩვენ მივიქვეციით ყოველად სამღვდელთა დეპუტატებთან და მისი ბრძანებით გადმოგვცეს წიგნები განსახილველად. განვიხილეთ შესავალ-გასავლის წიგნები და უნდა აღვიაროთ, რომ წიგნებში შინცა და შინც ისეთი რამ შესანიშნავი, დიდი საეჭვო ან განზრახულებითი შეცდომა არა გვინახავს რა, მაგრამ შეცდომები და ცოტა დაუდევრობა ანგარიშების წერის დროს რომ არ იყოს, ამას კი ვერ დავფარავთ. როცა ჩვენ განმარტება მოვთხოვეთ საბჭოს, მათ პასუხი ჩვენს კითხვებზე ყოველად სამღვდელთა დეპუტატების მიერთმიათ, რომელიც თქვენ გადმოგცათ და კიდევ მოისმინეთ“. შემდეგ სარევიზიო კომიტეტის წევრებმა პასუხი უგეს სასწავლებლის საბჭოს თავის გამართლებას. ყველა წაკითხულისა და მოსმენილისაგან კრება დარწმუნდა, რომ ანგარიშების წარმოება ჯეროვანად არ სრულდება ეპარქიალურ სასწავლებელში. ამასთან უადგილოდ და უსაფუძვლოდ

\*) იხ. „მწყემსი“ № 1—2 1903 წ.

დანიხა საბჭოს ბრალდება მიმართული სამღვდლოების კრებისადმი, ვითომც სამღვდლოების კრება ყურადღებას არ აქცევდეს საბჭოს მოთხოვნილებას სასწავლებლის საქმეების შესახებ. იმერეთის ეპარქიის სამღვდლოებამ თავის ღარიბი საშუალებით გახსნა ქალების სასწავლებელი. სამღვდლოებამ თავისი ღარიბი ჯიბით შეკრიბა თანხა, ორმოცდაათი-ათასი მანეთის. საბჭოს წინადადებისამებრ სამკლასიანი სასწავლებელი ექვს-კლასიანად გადააკეთა და ამისათვის არავითარ ხარჯს არ მოერიდა. თავის მღვდელთ-მთავრის წინადადებით— „ათი მანეთის“ გადახდა ყოველ წლობით ექვს წელიწადს განაგრძობს ჰანსონის სახლის ასაშენებლად და ასე მცირე დროში სამღვდლოებამ იმდენი საშუალება აღმოუჩინა სასწავლებელს თავის სიღარიბის მიუხედავად, რომლის მზგავსიც სხვაგან არავის ჩაუდენია. რჩევის წინადადებით სამღვდლოების კრებამ მასწავლებლებს 35 მანეთის მაგიერ, რომელთაც კანონით მეტი არ ერგებათ, 50 მანეთი დაუნიშნა თითო ვაკვეთილზე. ამის შემდეგ საბჭოს საყვედური, რომ სამღვდლოების კრება ვითომც თანაგრძობით არ ეკიდებოდეს სასწავლებლის საქმეს,— როგორც ზემოთ ვსთქვით, სამღვდლოების კრებამ უჯეროთ, უადგილოთ და უსაფუძვლოთ მიიღო. სამღვდლოებამაც ვეღარა გაიგო რა: რევიზორად დანიშნული ქუთაისის სასულიერო სასწავლებელთათვის— ბერ-მონაზონი სტეფანე, ზედმიწევნით კანონების მკოდნელ მიაჩნდათ ყველას და მისი ანგარიში ამ სასწავლებლების შესახებ უწმიდესმა სინოდმა დაამტკიცა. ის ერთ ადგილას თავის სარევიზიო ანგარიშში ამბობს, რომ ეპარქიალური ქალების სასწავლებლის საბჭოს არავითარი ხარჯის მოხდენა არ შეუძლია, თუ სამღვდლოების კრებისაგან ნებადართული არ არის და განხილული სასწავლებლის ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიში. თუ ეს მართალია, რაღად ამბობს საბჭო, რომ ხარჯების გარდაწყვეტა სამღვდლოებას არ ეკითხება? ზოგიერთი საბჭოს წევრები ამბობენ, რომ სამღვდლოება ვალდებულია ფულები შემოიტანოს სასწავლებლის შესანახავად და როგორ უნდა დაიხარჯოს ეს ფულები— მათ არ შეეხება და არც მათი საქმეა! დღეს ვეღარაფერი ვერ გაუგია კაცს, რომელია კანონიერი და რომელი უკანონო!.. სამღვდლოების კრებამ უკმაყოფილება გამოაცხადა საბჭოსადმი იმის შესახებ, რომ ანგარიში არ მისცა

დანახარჯ ფულზე და არც ხარჯთ-აღრიცხვის უწყება (бухгалтерия) წარმოუდგინა განსახილველად, მაგრამ ეხლანდელი მდგომარეობა მეტად გამოურკვეველია. გასაკვირველი ის არის, რომ ზოგიერთები სამღვდლოების კრებების მოსპობასაც ითხოვენ, იმ კრებების მოსპობას, რომელთაც სასულიერო სასწავლებლები უზრუნველ ჰყვეს: მცირე შენობების მაგიერ დიდებული შენობები აიგო, მოწაფეების მდგომარეობა დიდად გააუმჯობესეს და უზრუნველყვეს მათი ცხოვრება!.. მეორეს მხრით, სამწუხაროდ, იმის დაფარვაც არ შეგვიძლია, რომ ზოგიერთ ადგილას სამღვდლოების დეპუტატებმაც სახელი გაუტყვეს სამღვდლოების კრებებს. ნაცვლად რიგანი, დამჯდარი და კანონიერი მსჯელობისა, გამოიჩინეს ისეთი სუსტი, შეუფერებელი და მიდგომითი მსჯელობა კრებებზე, რომ შებღალეს სამღვდლოების კრებები და მით, რასაკვირველია, ხელს უწყობენ იმ პირთ, რომელნიც ამ კრებათა მოსპობას მეტადინებენ... დიად, ძლიერ სამწუხაროა ეს მოვლენა..

ეპარქიალური ქალების სასწავლებლის საბჭომ განუცხადა კრებას, რომ სამღვდლოების მხრით აღრჩეულ წევრებს დრო გაუვიდათ და ახალი წევრები აღირჩიეთო. სამღვდლოებას ძლიერ საწყყნად მიაჩნია, რომ გარდა ქალაქის სამღვდლოებისა, სხვის დანიშნა წევრებად არ შეუძლიათ. ქალაქის სამღვდლოებაში კი თავის გულის საჯერო ყოველ საქმეში სამღვდლოებას ყოველთვის არ მოეძეება. მართალია იყო სოფლის სამღვდლოთაგანიც, მაგრამ მათში ვინც უფროსთა არა სურსთ, ყოველთვის უბოვიან მათ საწინააღმდეგო მიზეზს და დაიწყებენ ჩივილს, რომ სოფლიდან წევრი არ დაიარებაო. ამას წინეთ იყო, მაგალითად, ერთი სოფლის მღვდელი დანიშნული წევრად ქალების სასწავლებელში. ადგილობით მღვდელ-მთავარს განუცხადეს მასზე, რომ არ გვესწრება კრებაზეო. მან განაცხადა, რომ კრების დანიშნის დროს არ მატყობიებნო. როცა ქუთაისში ვიყავი და ეს საბჭომაც იცოდა, განგებ მისაწვევ ქალაქის სოფელში მიგზავნიდენ, მე ეს არ ვიცოდი და საიღამ შემეძლო მისვლა საბჭოშიო. მან სთხოვა, როგორც ვიცით, მაშინდელ მღვდელ-მთავარს, რომ დღესასწაულ დღეებში საბჭოს კრება არ დანიშნულიყო და ისიც შუადღისას; ვიცით აგრეთვე ითხოვა, რომ რიგის კრება საბჭოსი ყოველთვის განსაზღვრულ დროს ყოფილიყო, რო-



გორც კანონი ითხოვს ამას. განსვენებულმა მღვდელმთავარმა ბესარიონმა დაუდგინა კიდევ ეს ვალად სასწავლებლის უფროსებს და საბჭოს. მაგრამ მათ ეს არ ინებეს; როცა უფროსი მოისურვებს, მაშინ იბარებს წევრებსაც... სამღვდლოებასაც მობეზრდა ყოველთვის ამაზე ლაპარაკი და საინტერესოდ აღარ მიაჩნია ამ საგანზე მსჯელობა; მისთვის დღეს ერთია, ვინც უნდა იყოს წევრად.

ამ კრებაზე ქალების სასწავლებელში წევრად დატოვეს წინანდელი წევრი—დეკ. ჭეიშვილი, აარჩიეს მღ. შანიძე და მათ კანდიდატებად მღ. ტაბიძე და აფხაიძე.

დასწრე.

სამღვდლოებაში თუთუნის წვეის შესახებ.

საეკლესიო მოამბეში შეგროვილია ამ საგნის შესახებ ბევრი საგულისხმო და საინტერესო ცნობები:

ჩრდილოეთ ამერიკაში არა ერთხელ აღძრულა კითხვა, თუ რამდენად შეეფერება სასულიერო წოდების პირთ თუთუნის წვეა. ერთმა ამერიკელმა ეპისკოპოსმა ნიკოლსონმა, თავის საკუთარ ორგანოში—„საეკლესიო დროებაში“ დაბეჭდა ეპისტოლე, რომელშიდაც არწმუნებდა სამღვდლოებას და განსაკუთრებით კი უმცროსთ, არ ეჩვეოდნენ თუთუნის წვეას. ეს ეპისტოლე იყო გამოწვეული ჩიკაგოს ჩრდილო-დასავლეთ რკინის გზათა მართველობის დადგენილებით, რომლის ძალითაც ამ რკინის გზაში მოსამსახურეთ ეკრძალებოდათ თუთუნის წვეა. ხსნიდა რა ეპისკოპოსი ნიკოლსონი ამ დადგენილებას, დაჟინებით სთხოვდა სამღვდლოებას, თავის ნებით აღეკვეთათ თუთუნის წვეა, რომელიც რკინის გზათა მართველობამაც კი მგზავრთათვის საზარალოდ სცნო. თუ კი, ამბობდა ის, კონდუქტორთაგან თუთუნის წვეა ჩათვლილია არა სასიამოვნოდ მგზავრთათვის, რომლებთანაც მათ აქვსთ საქმე, მით უმეტეს არ ეკუთვნისთ თუთუნის წვეა იმათ, ვისაც კავშირი აქვს სამწყსოსთან და რომელთაც სასიამოვნოდ არ მიაჩნიათ მისი წვეა.

ეპისკოპოსი ნიკოლსონის ეპისტოლე გადაბეჭდეს ყველა გაზეთებმა. ეპისკოპოსები, მეთვალყუ-

რენი, ქალი, კაცი, უცნობი და ნაცნობი, ყველანი უგზავნიდნენ სამადლობელ წერილებს; რომელთანაც დასძინდნენ ბევრ მაგალითებს, თუ როგორ უკარგავს სამღვდლოებას ხალხზედ გავლენას თუთუნის წვეა.

ამ ეპისკოპოსის მაგალითს წაბაძა მეორემაც— მილსპაუკმა, რომელმაც თავის საეპარქიო ორგანოში დაბეჭდა ძლიერი მოწოდება, შემდეგი მრავალმნიშვნელოვანი სათაურით: „შეწყვიტეთ კმევა ეშმაკისათვის!“ „ჩვენ სიამოვნებით წავიკითხეთ, ამბობს ის, ეპისკოპოსის ნიკოლსონის ეპისტოლე“. მოყავს რა ნიკოლსონის სიტყვები სავსებით და ამბობს: „იმედი გვაქვს, რომ ნიკოლსონი კვლავ განაგრძობს ბრძოლას; იმედი გვაქვს, რომ ამერიკის ყველა ეპისკოპოსები წახედვენ მის მაგალითს. შეიძლება ძველ წევრებთან ვერაფერი გააწყოს კაცმა; მაგრამ რომ ეპისკოპოსი მიაქცევდნენ ყურადღებას ახალ-გაზდათ, რომელნიც ხელ-დასასხმელად მოდიან მათთან და რომელთაც მოაქვთ საზიზღარი სუნი თუთუნისა, უსათუოდ შემდეგი თაობა უფრო სუფთა იქნება და გონიერი. მეტოდისტები აგრე იქცევიან აგერ რამოდენიმე წელიწადია და შედეგად გამოჩნდა, რომ იმათ სამღვდლოებაში ამოიჩვენა გაცილებით მეტი წილი რიგიან ახალგაზრდათა. ესლა იშვიათად ნახავთ, რომ მეთოდისტი—მქადაგებელი თუთუნს წვედეს, წინად კი ვერ ნახავდით ერთსაც, რომ თუთუნის წვეა არ ცოდნოდეს. ჩვენ გამოცდილებით ვიცით, რომ ეს ცუდი და საზარალო ჩვეულება სამღვდლოებისათვის. დაფიქრდეთ მარტო მღვდელზედ, რომელიც წმინდა კაცად უნდა იყოს ქვეყნად, წმიდა სარწმუნოების წარმომადგენლად, რომელიც შედის წმიდათა-წმიდაში და ამ დროს ის თამბაქოს სუნით არის გაბრუებული. ძალიან ჯინიანი თხაც ვერ მოითმენდა ამ საზიზღარ სუნს. დადგა დრო ამ მხრივ ცვლილების მოხდენისა. თითონ ეს საქმეც მომწიფებულია!“

ამ ორ ეპისკოპოსთა წერილების შესახებ, საინტერესო «წერილი რედაქციისადმი» დასტამბა ეპისკოპოსმა დუილესიმ. ამ წერილში ის ამბობს: „მე დიდის სიამოვნებით წავიკითხე ამ ორი ეპისკოპოსის წერილები, შესახებ თუთუნის ხმარებისა სამღვდლოებაში. მე არ ვამბობ: გადამეტებული ხმარების შესახებ, რადგან ეპისკოპოსი მილსპაუკის სიტყვები ეხება. ყოველივე ხმარებას ჩემი ეპისკოპოსობის დროს, მე სულ ვებრძოდი ამ საზიზღარ ჩვე-



ულებას. ჩემმა დაკვირვებამ მიმიყვანა მე ამ დასკვნამდინ. მე ვიცოდი ერთი სამღვდლო პირი, რომელიც გრძნობდა, რომ თუთუნის მას ვნებდა; ამასთანავე ექიმისაგანაც დაშლილი ჰქონდა, მაგრამ მაინც სწევდა. მე არასოდეს არ შემხვედრია ჩემ სამღვდლოებასთან ჯდომა ვაგონში, რომ იმით მაშინათვე არ დაეწყოთ მოსაწვევი ადგილის ძებნა. მე ძალიან კარგად ვიცი, თუ რა რიგ ეზარებათ სამრევლოში საუკეთესო პირთ თავიანთ მწყემსის ეს ცუდი ჩვეულება. განსაკუთრებით დამნაშავეა ახალგაზდა სამღვდლოება, და ამიტომ მე საჭიროდ ვსცნობ, რომ საღვთისმეტყველო სემინარიაში მოსწავლეთ აღეკრძალოთ თუთუნის წვევა. როდესაც მე ერთი სასწავლებლის მზრუნველად ვიყავი, ხშირად ვამჩნევდი შეგირდებს თუთუნის წვევის და ღეჭვის მიდრეკილებას. მე არასოდეს არ ვაკურობებ დიაკვნად, სანამ არ ურჩევ, რომ მაგარ სასმელებს და თუთუნის წვევას არ შეეჩვიოს. ერთიც და მეორეც საშინელი მაზარალებელია ჩვენი სამღვდლოებისათვის. მეც ჩემის მხრივ ვიმეორებ: „დროა ამ საგანს ყურადღება მიექცეს, რადგან იგი უკვე მომწიფებულია“.

თუთუნის წვევის წინააღმდეგ მოძრაობის დასახსიათებლად, ზედმეტი არ იქნება მოგიყვანოთ ერთი გარეშე, არა სასულიერო პირის აზრი, რომელმაც შემდეგის წერილით მიმართა ჟურნალ „ახალი ეკლესია“-ს რედაქციას: „მე ძლიერ დანტერესებული ვარ იმ კითხვით, რომელიც ღღეს თქვენი ჟურნალის ფურცლებზედ არის აღძრული, სახელდობრ, სამღვდლოთაგან თუთუნის წვევის შესახებ. ვინც ამ სისუსტეს ეძლევა, ცხადია, ავიწყდება, თუ რა უსიამოვნოა ზოგისათვის ეს ჩვეულება. მე მახსოვს კარგად, თუ როგორ უღონოდ გახდა პირდაპირ თუთუნის სუნმა ერთი ვეჭილი, რომელიც მასთან მოსულმა კაცმა დააყენა მის კანტორაში; ასე რომ ის იძულებული იყო ბოდიში მოეხადა და გარედ გასულიყო! ადვილი წარმოსადგენია, თუ რა უსიამოვნოა ეს სუნი ავადმყოფთათვის და იმათთვის, რომელნიც წმ. საიდუმლო ზიარებას ღებულობენ. მე კიდევ მახსოვს ერთი შემთხვევა, როდესაც ერთმა პატივცემულმა სამღვდლო პირმა მოიტანა ჩემს ოთახში ისეთი საზიზღარი სუნი, რომ მე იძულებული ვიყავი კარი გამეღო. ხელს აწერს: ეღუბარდ რანდი.“

ეს კორესპონდენცია, მგონი, მარტო ამერიკელებისათვის არ არის საგულისხმო. თუ კი ასეთი „ჯვაროსანთა ომია“ ატეხილი თუთუნის წვევის წინააღმდეგ ამერიკის სამღვდლოებაში, იმ ამერიკაში, რომელიც სამშობლოა თუთუნისა, სადაც თუთუნის წვევა და ღეჭვა მცხოვრებთ ძვალსა და რბილში აქვთ გაბეჩილი, რა უნდა ვსთქვათ ზოგიერთ ჩვენს სამღვდლოებაზედ, რომელიც შეპყრობილია ღღემლის ამ შეუფერებელი ჩვეულებით. ზოგიერთი ჩვენი, ისიც სამწუხაროდ, მაღალი სწავლის მიმღებნი მამანი, რომელნიც თუთუნის წვევას არიან მიჩვეულნი, ამ საზიზღარი ნივთიერების ხმარებას მით ამართლებენ, რომ თუთუნის წვევა არის მათი ბუნებრივი მოთხოვნილება. მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ მოშლილი კაცის ბუნება ბევრ რასმე ითხოვს იმისთანას, რომლის გამხელაც კი სასიარცხოა, არა თუ ასრულება; ავიწყდებათ მათ, რომ მოძღვარი ყოველთვის თავის მოქმედებაში უნდა ხელომდღვანელობდეს დამჯდარი გონებით და ყოველთვის უნდა ერიდებოდეს მისთანა საქციელს, რომელიც მას ამცირებს და ამდაბლებს საზოგადოების თვალში...“



### ჩემი თავგადასჯელი.

გაგრძელება \*)



როცა მეორე კლასს ვათავებდი, ხმა გაერკვლდა, რომ ფიცხელი რევიზორი მოდისო. ეგზამენები გაათავეს და უმეტესი ნაწილი შეგირდებისა გაუშვეს კიდევ შინ, ხოლო რომელიც უფრო სწავლით შესამჩნევი შეგირდები იყვნენ, ისინი დაიტოვეს. მათ რიცხვში მეც მოხვდი. ჩვენ ერთ კვირას (ხუთ-ექვს მოწაფეს თითოეული კლასიდან), საგანგებოდ გვამზადებდნენ ყველა საგნებში: დანიშნულ ღღეს მოგვიყრიდნენ თავს და ერთად გვასწავლიდნენ, გვამეორებებდნენ ხოლმე კითხვა-მიგებას. მოვიდა ფიცხელი რევიზო-

\*] იხ. „მწყემსი“ № 12, 1902 წ.

რიც. ყველამ კარგად მიუგეთ, რადგანაც წინდაწინ გვექონდა დასწავლილი მასწავლებლის კითხვებზე მიგებანი. რევიზორს მოეწონა ჩვენი სწავლა და მადლობა გამოგვიცხადა მეცადინეობისათვის. წამოვედით შინ გახარებული. ორი თვის შემდეგ დაებრუნდი მესამე კლასში სწავლის განსაგრძობათ. იანვარს და თებერვალში გაჩნდა შევირდებში ხურვება. შევირდები ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან — ჩრდილოეთის მხრით ვიდექით პატარ-პატარა ქოხებში. ჩვენ თვითონ ვზიდავდით შეშას, წყალს, თვითონ ვამზადებდით საქმელს და მეტის-მეტად ღარიბულად ვცხოვრობდით. სახლებში ქარი თავისუფლად შემოდებოდა. ცეცხლი შუაგულ სახლში ენთოდა და კომლიც თავისუფლად გადიოდა საფაფურებში. გასაკვირველი არ იყო, რომ სახადი სნეულება გაჩენილიყო უწმინდურ ცხოვრებისაგან. ჩემთან იდგა ერთი შაგირდი — ერთად ერთი შვილი მამისა. გახდა ავით მუცელში შეკრულობით და მეთოთხმეტე დღეს გარდაიცვალა. ექიმობისა და წამლობის არა ვიცოდით რა. დიდ-მარხვის პირველ კვირბაყეში გვაზიარეს. დიდის გაჭირვებით დავდიოდით ლოცვაზედ. ვეზიარე თუ არა ჩავარდი ლოგინათ. სამი დღე კიდევ მქონდა ცნობა და მესამე დღეს შემდეგ კი, დამეკარგა იგი ნამეტანი სიცხისაგან. ამხანაგი დარჩა ჩემთან რამდენიმე დღე და ისიც გამშორდა სახადის შიშით. მერე ჩამოვიდა მამა და ხმაბალა ჩამძახა: „რას შვრები, როგორ ხარ?“ ცოტა-ხანს მოვედი გონს და უთხარი: „ნუ მეკარები, თორემ სახადი თქვენც შეგექნებათ“ — მეთქი. ძმა დარჩა ჩემთან და მამა იმედ დაკარგული ჩემს მორჩენაზე, შინ წავიდა. არ ვიცი სრულებით რას ვშვრებოდი, რას ვბოდავდი, ან როგორ ვიყავი ხუთი კვირის განმავლობაში. მახსოვს მხოლოდ, რომ მშვენიერად ვცხოვრობდი სადღაც ცხელ ქვეყანაში. ვითომ მე მეფე ვიყავი და გვირგვინი მეხურა თავზე. ეს გვირგვინი დიდი იყო და ხან-და-ხან თვალზე ჩამომეფარებოდა ხოლმე. ესთხოვდი ყველას ზევით აეწიათ ეს გვირგვინი, მაგრამ არავინ ასრულებდა ჩემს ბრძანებას და მხოლოდ ეს მიჩნებოდა საწყენად; მიკვირდა რომ მეფე ვიყავი და ჩემს ბრძანებას არ ასრულებდნენ. სახლიდან ერთი კინჭილა წამალი გამოგვზავნათ, მაგრამ არ დაუღვევინებიათ, სასთუმალთან კედელზე იყო ჩამოკიდებული. მთელს ავადმყოფობაში კიტრა-ვაშლს თუ მოიტანდნენ იმას შევჭამდი და

სხვა არა მინდოდა რა. ამ ვაშლს იმიტომ ვსჭამდი, რომ მუხავე იყო და პირს მიწმენდა. ჩემი ავადმყოფობის დრო ზამთარი იყო. რომ შემოყრიდა ქარი თოვლს საფაფურებიდან, ცივი ჰაერის სუნთქვა სულს მიბრუნებდა და ცოტა გონს მოვდიოდი, მაგრამ მალე სიცხე ისევ მიმბნედავდა ხოლმე. თევდობობის კვირიდან ბზობის კვირამდინ არ გამოვფხიზლებულვარ. მეხუთე კვირას სიცხე გამომინელდა და გონსაც მოვედი. ამიყვანა ძმამ და კართან დამსვა, რომ ქვეყანა დამენახა. როდესაც ვიგრძენი, რომ ყოველი ღონე დამკარგვია, ცარიელი ძვალი და კანი ვარ, იმდენი ღონე არა მაქვს, რომ ჩემით ავმდგარვიყავი და ფეხი გადამედგა, ამასთან სახეზე მიწის ფერი მედვა და მკვდარს ვგავდი, — მეტის-მეტად მეწყინა და მომენატრა ისევ ის სიხმრისებური მდგომარეობა, რომელშიაც მე ვიყავი წინეთ ნამეტანი სიცხიდან ზეცა არ ვგრძნობდი არც ტკივილს, არც სისუსტეს და არც სხვა რაიმე ცუდს. მე რომ გვირგვინად მეჩვენებოდა, ის იყო თურმე გადაბრუნებული ბეწვიანი ხალთა, ქვილის გულა, რომელიც ჩემ ძმას დაეხურა ჩემთვის თავზე, რომ თავი არ გამციებოდა!.. საორმოცო ხურვებით სნეულს თავზე ცხვრის ტყავს მხურავდენ!.. ცივი კომპრესი თუ გინდათ, აი სწორედ ეს იყო!..

ამბობენ რომ ბედნიერი არის ხურვებით მკვდარი, რადგან ისე კვდება, რომ არავითარ მწუხარებას არ გრძნობსო. ნამდვილია. მე ეს გამოვსცადე და შემიძლია ვსთქვა, რომ ხურვებით მკვდარი არავითარ ტანჯვას არ ტყობილობს სიკვდილის დროს.

დღით ბზობას გამომიცვალეს ტანისამოსი, დამბანეს რომ არა გამომყოლოდა რა შინ, შემსვეს ცხენზე და წამომიყვანეს ჩემმა ორმა ძმამ. დიდი შიში გავიარე ქუთაისში ხიდზე გასვლის დროს. რადგან ღონე არ მქონდა სრულებით, მეშინოდა ხიდზე ცხენით გასვლისა და თვითონ არ ვიცოდირად მეშინოდა იმ დროს, როდესაც ეტლები და ხალხი თავისუფლად დადიოდნენ. ქუთაისიდან წამოსული ქვაშავაზე თერთმეტ საათზე მოვედით. ჩამომსვეს ცხენიდან და მიჩჩეს ხელის მოკიდებით გავლა. მაგრამ ისე დაკარგული მქონდა ღონე, რომ ფეხი ვერ გადავდგი. ნასადილევს შემსვეს ცხენზე და საღამოს ზესტაფონს მოვედით. ზესტაფონში ხის ხიდი ძველი იყო — სამას საყენზე ზემოდ ეხლანდელი ხიდიდან. ამ ხიდიდან კაცი გადავარდნილიყო და



რუსი დაეყენებიათ ხალხის გასაფრთხილებლად, — ცხენოსანს არ უშვებდენ ხილზე. ეს რუი გალმა იღვა და ჩვენ ისე გავედით, რომ არ შეუნიშნავართ. ჩამაცივდენ ჩემი ძმები, რუსულად გამოვლაპარაკებოდი ამ რუსს. მე ლაპარაკის გუნებაზე არ ვიყავი, მაგრამ ძმებს ხათრი გაუწიე და უთხარო რუსულად, რატომ სდგებარ აქ მეთქი. მან ამაყად შემომძახა: „я здѣсь стою потому, чтобы не позволять никому верхомъ переправляться черезъ мостъ. Какое вы право имѣете верхомъ перѣехать такой скверный мостъ? Я не пушчу тебя отъ сюда“. მე უთხარი რუსულად, რომ ძმები ავაომყოფი ვარ, განძრევა არ შემიძლია და რას ვიზამდი, ცხენიდან ვერ ჩამოვიდოდი მეთქი. ამ სიტყვების შემდეგ მომაძახა: „убрайся отъ сюда скорѣе“-ო და წამოვედით კიდევ. მერე მკითხეს ჩემმა ძმებმა, თუ რას მემუსაიფებოდა ეს რუსი. კაცო, მემუსაიფებოდა კი არა, დაჭერას მიბირებდა და რა ხათაბალას გადამკიდეთ მეთქი. ბევრი იცინეს და მითხრეს, რომ „იქვე გაგვეგო იმას ვაჩვენებდით დაჭერასაო, ჩვენ ასე გვეგონა მუსაიფობენო“. იმ დღეს ღამე შორაპანში გავათიეთ. მეორე დღეს მივედით შინ და ყველას ძლიერ გაეხარდათ, რომ ცოცხალი მიმიყვანეს.

ამ დროს ყველანი ძლიერ შეშინებულნი იყვნენ მთელ შორაპანის მაზრაში. ყოველ კვირაში — უთუოდ ხუთშაბათს, თავს-დაესხმოდენ მცხოვრებთ — უმეტესად მღვდლებს და სცარცვადენ. ერთი ვინმე რომ არ გაეცარცვათ კვირაში, არ შეიძლებოდა. ჩემს მოსვლამდე გაეცარცვათ ერთი მშვენიერად გლეხი, შეძლებული კაცი, მღვდელი ნიკოლოზ ჭუმბაძე, მღვდელი დ. ბლუაშვილი (ჩემი ნათლია) მღვდელი მარკოზ მშველიძე. ხალხი იცარცვებოდა, მაგრამ ავაზაკები არა ჩანდენ. ნათლია ჩემი ისეთნაირად იყო მოწყობილი, რომ შიში არა ჰქონდა. სახლის კარები ისე მაგრად ჰქონდა დაკეტილი და შეიგნიდან ისე იყო დამაგრებული, რომ შემოტეხა არ შეიძლებოდა. კარებზე თოფები ჰქონდა ციხისებურად მოწყობილი. მას თერთმეტჯერ მიუხდენ ავაზაკები, მაგრამ ყოველთვის მარჯვედ დახვდა და რამდენჯერმე კიდევ დასჭრა თოფით ისინი. ბოლოს ოსტატობა იხმარეს ავაზაკებმა. მღვდელს ხარის ტყავი ქონდა გარეთ კედელზე მიყუდებული გასახმობათ. ავაზაკები მივიდნენ და დაუწყეს ფრჩხილებით ფხოვნა. მღვდელმა მოკრა ყური ამ ხმაუ-

რობას, იფიქრა ძაღლები სკამენ ტყავსო და გამოვიდა გარეთ. ავაზაკებმა სტაცეს ხელი მღვდელს, შეიყვანეს სახლში, შეკრეს ერთად ცოლი და ქმარი და მიაწვინეს, მოიტანეს ჭურიდან ღვინო, სვეს კარგად, წაიღეს რაც ქონდა და წავიდნენ. ასე თარეშობდენ ეს ავაზაკები თითქმის ხუთი თვე, მაგრამ არავის არ დაუჭერია ისინი. არ დაუჭერიათ მიტომ, რომ თვით მაზრის უფროსთან მოსამსახურენი იღებდენ მონაწილეობას ავაზაკებთან ერთად და იყოფდენ ნატაცებს!..

აღდგომის მესამე დღეს გახდა ავთ ჩემი ძმა, რომელიც მე მადგა თავზე. დადი ხანი იავადმყოფა და ბოლოს გადარჩა ისიც სიკვდილს. მე დავბრუნდი სასწავლებელში, დავიჭირე ეგზამენი და მეოთხე კლასში გადავედი.

როცა მეოთხე კლასში გადავედით, ცოტა არ იყოს ჩვენ თავს სულ სხვანაირად დაუწყეთ ყურება. ქუთაისში მეტი სწავლის მიღება აღარ შეიძლებოდა და ბევრი საჭიროდ აღარ რაცხდა სწავლის გაგრძელებას. საზოგადოდ ყველა შევირდები გავაპრტავდით. მართალია საგნები კარგა ბლომად გავიარეთ, მაგრამ ყველაფერი ვიცოდით თუთიყუშოვით. მეოთხე კლასში არითმეტიკიდან «დრობზე» გვასწავლიდენ, მაგრამ როგორც ჩვენმა მასწავლებელმა, ისე ჩვენც არა ვიცოდით რა.

ამ ხანებში მობრძანდა ახალი მღვდელ-მთავარი ყოვლად სამღვდლო გაბრიელი. პირველად გელათში მიბრძანდა და გელათიდან ქუთაისში. მიგებება სამღვდლოებისა იყო საოცარი. ყველა კარგად გრძნობდა გერმანეს დროს, როცა კანცელარია მართავდა ეპარქიას და რა ხდებოდა მხოლოდ ერთმა ღმერთმან უწყოდა. ყოვლად სამღვდლო გაბრიელის ვინაობა კარგად იცოდნენ და ამიტომ დიდის აღტაცებით მოელოდა უმეტესობა. მხოლოდ ერთი რაიმე აშინებდა ყველას. გაბრიელი გურული კაცია, ჩქარი გულის მოსვლა იცის და ვისაც გაუწყრება ვაი მისი ბრალიო, ამბობდენ.

შემობრძანდა ყოვლად სამღვდლო ჩვენ კლასში არითმეტიკის გაკვეთილის დროს. ეს საათი სამახსოვრო იყო ჩვენთვის და ჩენი მასწავლებლისთვისაც. მან მაშინვე გაიგო, რომ თვით მასწავლებელმაც არა იცოდა რა „დრობის“ ანგარიშისა. ვერც ერთმა შევირდმა ვერ მიუგო ერთ უბრალო კითხვაზე მას. აი როგორი კითხვა იყო: ერთი გირვანქა ჩაეღირს





ორ მანეთად, რვა მეთედი ნაწილი ერთი გირვანქისა რა ღირს? ნუ თუ ამის გამოცნობას ბევრი ფიქრი უნდა,—უთხრა ერთ შეგირდს ჯო—შვილს ყოვლად სამღვდელმომ,—შე საწყალო ხომ მოგატყუებენ ყიდვაში თუ ეს არ იცი“-ო. გაუჭირდა შეგირდს და უთხრა: „მეტს არ წაიღებენ, ბატონო, ხურდას უთუოდ მისცემენ უკანა“. ყოვლად სამღვდელმოს გაეცინა და ამოიოხრა, მიხვდა ვინც იყო მიზეზი ჩვენი უცოდინარობისა და ფიცხელი ყურადღება მიაქცია მასწავლებელს...

(გავგრძელება იქნება).

### სამეგრელოს უგანათლებულეს თავადის ნიკოლოზის გვაშის მოსვენება.

გაიგეს თუ არა ძველ-სენაკელებმა ყოფილ მთავრის ნიკოლოზის გადაცვალება, მაშინვე შეუდგნენ თადარიგს მისი გვაშის დასახვედრად. 27 იანვარს სენაკელებმა პანაშვიდი გადაიხადეს, რომელსაც დაესწრნენ, საზოგადოების გარდა, სენაკის სათავად-აზნაურო სკოლისა, სამეგრელოსა და სასოფლო ორ-კლასიან სკოლის მოსწავლენი და მასწავლებლენი. ხმა გავრცელდა, თავად ნიკოლოზის ცხედარს სადგურ აბაშით მოასვენებენ სოფელ მარტვილშიო. ამიტომ საზოგადოებამ ითხოვა და მარტვილში შეაცვლევინა: ყოფილ მთავრის ცხედარი ახალ-სენაკიდან ძველ-სენაკით და ნაქალაქევით უნდა წავსვენათ მარტვილს. „ყოფილს მთავარს“ იმიტომ ვამბობ, რომ სამეგრელოს მთავრის დავითის გადაცვალების (1853 წლის) შემდეგ თავ. ნიკოლოზ დავითის ძე დადიანი, თავ. მინგრელსკად მერე მონათლული, მთავრად ითვლებოდა 1867 წლამდის, თუმცა მცირე წლოვანობის გამო იმას ფაქტიურად არასოდეს არ უმთავრნია და იმის მაგიერ სამეგრელოს ერთხანს მართავდა დედა მისი ეკატერინე, თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული; მერე კი—დროებითი მმართველობა. მიუხედავად ცუდის დარებისა, საყდრის წინ სათავად-აზნაურო სკოლის კარებთან ააშენეს პავილიონი, ერთიან მწვანით ნაშენი. პავი-

ლიონს თავზე ედგა ყვავილების გვირგვინი, ქვევით შუა ადგილასაც ეკიდა გვირგვინი. ბოძებ-და-ბოძებ შუა იყო დაფნისა, ტუისა და სხვა ყვავილის ხვეულები. დასავლეთით პავილიონზე მოქედნილ შავს ფიცარზე ოქროს ასოებით რუსულად ეწერა: С. К. Н. Д. М., ქართულად კი: „უგანათლებულესი თავადი სამეგრელოსი ნიკოლოზ, მთავრის დავითის ძე დადიანი“.

დაბა ძველი სენაკი შავებში იყო შემოსილი: ყოველ სახლისა, თუ დუქნისა წინ აფრიალებული იყო შავი ბაირადი ნიშნად მგლოვიარობისა. საყდრის (ყოფილი სასახლის კარის ეკლესია) გალავანს შავი ბაირალები შემოარტყეს. თავად-აზნაურობა, მოქალაქენი და დროებით მცხოვრებნი შავებით შემოსნენ. სამს თებერვალს, დილის ათ საათზე, ხალხი დაერაზმა პავილიონთან. პავილიონის ქვეშ მარჯვნივ სათავად-აზნაურო სკოლის მგალობელთა გუნდი დადგა. მარცხნივ—სამრევლო საქალებო სკოლის მოსწავლენი. პავილიონის აღმოსავლეთით ადგილი ქალებს ეჭირათ. ქვევით, შოსის მარჯვენა ნაპირზე, სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლენი იდგნენ, მარცხნივ—სამინისტრო სკოლისა. ბავშვებს უკან იდგა დიდძალი საზოგადოება. უნდა აღენიშნოთ შემდეგი: პოლიციამ გამოაცხადა, რომ ოლქის მზრუნველმა ნება დართო იმ სკოლებს მიეღოთ სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობა, რომელთ წინაშე თავადს რაიმე ამაგი მიუძღვოდა. შუა ადგილი დაეჭირა დიდძალ სამღვდელოებას, შემოსილს და ხატებით ხელში. აქვე გარეშე მაყურებლის ყურადღებას იქცევდა რვა არშინიანი ძველებური კელაპტარი. ჭრეული ცხენოსნები წინდაწინ მისაგებებლად წავიდნენ.

სრულს 12 საათზე გამოჩნდა სამგლოვიარო პროცესია. წინ მიუძღოდა განსვენებულის შვილი თავადი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე; იმას ბალდახინს მისდევდა განსვენებულის ცხედრით. ბალდახინი პავილიონის ქვეშ შეჩერდა. როცა ჩვეულებრივი ტირილი და სამძიმარი გათავდა—სამძიმარს იღებდნენ შვილი და პრინცესა სალომე მიურატისა—ძველ-სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის გამგემ წითლიძემ გვირგვინით შეამკო კუბო და სიტყვა წარმოსთქვა; მერე გვირგვინითვე შეამკეს კუბო სამინისტრო და სამრევლო სკოლებმა; ამათ შემდეგ კი ძველის სენაკის თავად-აზნაურთ; მოქალაქეთა და

მცხოვრებთა გვირგვინა დაადეს ცხედარს და სიტყვა წარმოსთქვა აზ. გიორგი გამსახურდიამ. მერე პროცესია დაიძრა. კაი მანძილზე გააცილა თავადის ნაშთი ძველ-სენაკის საზოგადოებამ და სამღვდლოებამ. გამოთხოვების დროს განსვენებულის შვილმა უთხრა სააზნაურო სკოლის უფროსს: „მოკლე დროში ვეცდები სამშობლო ენახედაც გადავიხადოთ მიდლობა“. ეგვევ გაუმეორა საზოგადოებას. აქვე არ შემოძლიან არ მოვიხსენო განსვენებულის შეწირულება: ძველ-სენაკის სათავად-აზნაურო სკოლას შესწირა ის აღგილი (ოთხ ქცევაზე მეტი), სადაც სკოლაა, და სამი ათასი მანეთი ფულად; აგრეთვე აქაურ სამინისტრო სკოლას ორ ქცევამდე მიწა.

„ცნ. ფურ.“



### ახალი ამბები და შენიშვნები.

\* \* 1903 წლისათვის ამიერ-კავკასიის ქალაქებისა და დაბების უძრავ მამულებზე სახელმწიფო გადასახადი გაიწერა 738,800 მანეთი; აქედან: ტფილისის გუბერნიასზე 134 ათასი მ. და ქუთაისისაზე—63 ათასი მანეთი.

\* \* „კავკას“-ის სიტყვით, ფოთის ხაზინის გაცარტვის გამო სამართალში მიტყუდნი არიან კვავაძე, ჩხარტიშვილი და გუჯაბაძე, რომელნიც ქუთაისის სხვატიმრობაში სხედან; საშავე გურულებია, — ზირველი ორი გლეხია, მესამე—ფოთის მოქალაქე.

\* \* მიტრანზლიტი კიევისა თეოგნოსტი ვარდაცვალა 22 იანვარს ზეტეროურგში. იგი მოასვენეს კიევში და დადებულად დასაფლავეს. არ არის ჭკრეთი გამცხადებელი, თუ ვის უანდერძა თავის ქონება. კიევის მიტრანზლიტად დაინიშნა ფლანდრის სარკავის მთავარ ეპისკოპოსი—ექსარხოსად ფოთელი ჩვენში. მთავარ ეპისკოპოსს ფლანდრის სასულიერო აკადემიაში არა აქვს მიღებული სწავლა და ზირველი შემთხვევა არის ვგონებ, უნივერსიტეტში სწავლა მიღებულის მიტრანზლიტად დანიშვნა.

\* \* „ვარშავის დიუნიკი“ გადმოგვცემს: „ამას წინად ერთმა კაცმა კახეთში გამოაცხადა, რომ საჭიროა ლაქია, ჯამაგირი 15 მანეთი ექნება თვეში, ჭამა-

სმა თავისიო“. ამ განცხადების გამო ორის დღის განმავლობაში განცხადების ზეტრანთან 85 კაცი შევიდა ლაქიის ადგილის სათხოვნელად. ამათ შორის ორი კაცი რკინის გზის მოსვლე იყო, ერთი ბუზგალტერი, 2 ტენიკოსი, 3 ავრონომი და სხვანი; უძრავლესობას კი მნახია ქონია გათავებულა. მთხოვნელთა მტირე რიცხვის ნამდვილი ლაქიები შეადგენდა“.

\* \* სამარაში რკინის გზის ერთ მუშას, გვარად ალექსანდროს, დიდ ძალი სამკვიდრო დარჩენია. ამ ცხრა წლის წინად მოსკოვში მოკვდა მილიანური, მაგრამ დღემდე მასლბელი ნათესავი არავინ აღმოჩენილა და ესლა მთელი იმისი შეძლება, 6 მილიონ მანეთისა, ამ შორეულ ნათესავს დარჩენია.

\* \* გამოვიდა და დაურიკდა ხელის მომწერთ ურნალ „მომბის“ 1-ლი №-რი შემდეგის შინაარსით: 1) ხემა ზირველი სიუვარული. — (ეტიული) შ. არაკვისზირველისა; 2) ვაი ჭკუისკან. — ოთხ მოქმედებანი კომუდია ა. გრიბოედოვისა, თარგმანი განდეკილისა (დასასრული); 3) ხენთი. — რუს-ოსმალის (უკანასკნელ ომის დროის ისტორიული რომანი. რაფიფისა (თარგმანი სომხურიდან) ბ. ევანგელისა (გაგრძელება); 4) სმნი. — მ. გორკისა, თარგმანი ი. ზოლუმოდოვინოვისა (გაგრძელება); 5) შეფე ლირი (გაგრძელება) და ნ) დამატება. — საბერძნეთის ძველი ისტორია დასაწყისიდან დამოუკიდებლობის დაკარგვამდე. — ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლ—სა.

\* \* მანჯურიაში რუსეთის ვაჭრობის გასაძლიერებლად აზრდა აქვთ დაარსონ განსაკუთრებული საკომერციო სააგენტოები. სააგენტოები გაისხნება მუკდენსა, კუანსინისა და ხარბინში.

\* \* ხმება ისმის, რომ სამრეწველ სკოლების მეთვალყურედ იმერეთის ეპარქიაში ინიშნება ბ. ვასილიევი, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი და მამა მედიტონ კელენჯირიძე—ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად, სოლო ამ სასწავლებლის ზედამხედველი—როფდესტვენსკი ინიშნება ქუთაისის სემინარიის ინსპექტორად. რადც საკვირველად მიგვაჩნია ამ უკანასკნელ დროს ასე ჩქარ-ჩქარა მოსამსხურე ზირთა გამოცვლა და მასთან ადრე ამადლება თანამდებობით. გაკვირდებით როცა შეიტყობთ, რომ ისეთი შესანიშნავი ზირნი, როგორიც იყვნენ მკავლითად, მოსკოვის მიტრანზლიტი ფილარეტი, მკარი, ზეტერბურგისა—ისი-დორე, კიევისა—ზლატონი და ოდესის მთავარ-ეპისკოპოსი ნიკანორი, დიდხანს დარჩენილან მდებალ თანამდებობაზედ და მალე არ მადლებულან...



\* \* შესანიშნავი ზირველი კათედრის ისაკიევის ტაძარი ზეტერბურგში გაუქმრდავთ. წაუღიათ სამცხე-თუთსმეტი ათასი მანეთის ბრილიანტი. თუ კი შუაგულ ზეტერბურგში ეს მოხდა, სადაც რამდენიმე მცველია ზოლიციას გარდა, რაღა გასაკვირველია, რომ ჩვენი სოფლის ეკკლესიები გაქმრდნ... აი რა ცნობებს ვადმოგვცემს „ნოვ. დნ.“ ამის შესახებ: ნ თებერვალს, დიღის 5 ს. 30 წ., სობორს დაწავებმა ვადეს ტაძრის კარები და ჩვეულებრივ დაათვალიერეს ტაძარი; ამ დროს მათ შენიშნეს, რომ მაცხოვრის დიდი ხატის შუშა კატეხილია; აღმოჩნდა, რომ ხატის შესამოსიდან მობარული იყო ერთი დიდი ბრილიანტი, რომელზედაც ამოჭრილი იყო ასოები I, A და H; ავრეთვე ბრილიანტის სამეფო გვირგვინი ამ ასოებზე. დაწავებმა იმ წამსვე დაჭკეტეს კარები და შეატოებინეს ზოლიციას. მთავინენ ზრავურთრი, გამომძიებელი და ზოლიცია. რადგან კარები დაკეტილი იყო და ფანჯრებიც მთელი ვამოღვა, ფაქრბდნენ, რომ ქურდი იქვე ტაძარში უნდა იყოს; აღბათ, წინა დამეს, ლოცვის შემდეგ, მიამალა და დარჩა ეკკლესიასიო. ბეჯითად დაათვალიერეს მთელი ტაძარი, მაგრამ ვერავინ აღმოჩინეს. წირვა-ლოცვის დროს შუშის კატეხა და ბრილიანტის ამოძრობა შეუძლებულია, ასე რომ სრულიად ვაუკებარია, როგორ და ვინ ჩაიდინა ქურდობა. მობარული ბრილიანტები 75 ათას მანეთზე მეტი დიხს. იმავე დღეს ტაძარი დაათვალიერა იუსტიციის მინისტრმაც. დიწყო სსსტიკი გამომძიებს.

\* \* ევარილასში მალაქია გაჩეხილასის ღუქანი გაქმრდეს და ბევრა ნივთები წაიდეს. ზოლიციამ მეორე დღეს შეიზურთ ქურდები და ნივთებიც აღმოჩინა.

\* \* დაიბეჭდა „მწეუმის“ რედაქციის სტამბაში და გამოვიდა გასასიდედად წიგნაკი: „იესო ქრისტე მაცხოვარი სოფლისა“ ბლად. მდ. დ. ჩხაიძისა, სურათებით ფასი ორი შაურა.

\* \* დაიბეჭდა რუსულ ენაზე „მწეუმის“ რედაქციის სტამბაშივე შემდეგი წიგნაკი: „შიო-მღვიმის უდაბნო და დიხსი მამა შიო“.

\* \* სინოდს ვადუწვევტია ვეკლა სსსუღიერო სემინარეობთა დახარხოს სამაგალითო სამრევლო სკოლები იმავე წესითა და ზრავრამით, როგორც ზეტერბურგის სსსუღიერო სემინარასთან არსებობს.

\* \* უწმ. სინოდს შვიდასი თუმანი ვადუღდეს სოფ. ხულოში (ბათუმის მხარეს) მართლ-მადიდებელ ეკკლესიის ასაშენებლად.



**სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნობაზე.**

**მოძღვრება.**

თქმული 19 იანვარს, — დიხსი მამა ანტონ მარტოთ-მეოფელის დღეს.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და წმიდისა სულისათა.

არც კაცი, არც ბალახი, არც მტვერი, არცა რომ სხვა ქვეყნიერობაზედ არ გაჩენილა თავის თავად და არც წარმოსადგენია მათი არსებობა, მათი ყოფნა, მათი მოქმედება და მოძრაობა მხოლოდ მათივე ძალით, მათივე დამოუკიდებულობით, მათი საკუთარი თვისებით. ყველაფერი, რასაც თვალთ ვხედავთ და რაზედაც ჰკუთ მიგვიწვდება, არის ღვთის ქმნილება და ღვთისავე მოწყალებით არსებობს. ეს შეურყვევლი და დაურღვეველი ჭეშმარიტებაა. მართალია, ბევრი ვინმე შეგებძოლა ამ ჭეშმარიტებას, ბევრი ნასწავლი და ბრძენი შეეცადა დემეტკაცებია სხვებისთვის, რომ ქვეყნიერობა გაჩნდა თავის თავად და არსებობს მხოლოდ თავისი ძალით, თავისი უნართო, მაგრამ ამ ნასწავლთა და ჰკუთ მალათა მეცადინობა საქმით იმ გვარივე სიმტკიცისა და სიმამრისავე გამოდგა, რა ვარ სიმტკიცისა და სიმამრესაც შეიცავს გულ-უბრყვილო ბავშვებისაგან ცელქობის დროს ჩალა და თიხისაგან აგებული კოშკი. დღეს, კაცობრიობის სასიქადულოდ და სასახელოდ, ყოველი ჰკუთ დამჯდარი მეცნიერისაგან უარყოფილია ის აზრი, რომ რაიმე დაიბადოს, რაიმე გაჩნდეს, რაიმე წარმოსდგეს ქვეყანაზედ თითონ, თავის თავად, გარეშე დამოუკიდებელი ძალისა, რომელიც არის ყოვლად შემძლე ღმერთი. შესაძლოა, ახლაც არა ერთისა და ორი ახალი-გაზდა მოსწავლესაგან, ან ახლად სწავლა დამთავრებულთაგან, გავიგონოთ ამ მოძღვრების დაცინვა, მისი დაწუნება, ვითომდა

უსაბუთიანობა, მაგრამ ეს უნდა მიეწეროს მათი გონების სიჭაბუკეს, რომელიც ჯერ ისევ ჰსდღულს, მსგავსად ახალი ღვინისა, ჰბორბოქობს, მღვრია და დაუწმენდელია და ფას დასადებელი შეიქნება მხოლოდ შემდეგ დადუღება-დაწმენდისა. ადრე თუ გვიან ეს ახალ-გაზღვებიც ჰსცნობენ აღნიშნული მოძღვრების სინამდვილეს, ისინიც აღიარებენ, რომ გამგე და მმართველი ხილული და უხილავი ქვეყანისა არის ყოველად ძლიერი მარჯვენე უფლისა.

გარჩა ნუ დაგვაიწყებება, ძვირფასო მსმენელნო, რომ მხოლოდ ცოდნა და შეგნება რომელიმე ქვეშაირტებისა, რომელიმე მოძღვრებისა და აზრისა თავის თავად არაფერს ძვირფასს და სახარბიელოს არ წარმოადგენს თუ იგი ქვეშაირტება და მოძღვრება არ გავიხადეთ ჩვენი საქციელისა, ჩვენი მოქმედებისა და მოქალაქობის ქვაკუთხედ, საძირკვლად, ან დედა ბოძად. ძვირფასი და სათაყვანოა ჩვენი სარწმუნოების მოძღვრება, სხვათა შორის, იმითი, რომ იგი მარტო გონებით არაა შესათვისებელი, რომ სრულებით არ კმარა მხოლოდ მისი შესწავლა და გაზნობრება; არა, ეს მოძღვრება ცხოვრებისა, მოქმედების მოძღვრებაა და აუცილებლად მისს ყალიბზედ უნდა ჩამოესხას ჩვენი ცხოვრება, ეს მოძღვრება სარჩულად უნდა ედოს ჩვენს ყოფაქცევას, ჩვენს მოქმედებას, ჩვენს მოქალაქობას, გრძნობა-აზროვნებას; მისა ელფერი, მისი ბეჭედი უნდა ეტყობოდეს ქრისტიანის საქციელს სასიხარულო იქნება იგი საქციელი თუ სამწუხარო, საოჯახო თუ საზოგადო, სასულიერო თუ სახორციელო.

აღნიშნული განსაკუთრებითი თვისება ჩვენი სარწმუნოების მოძღვრებისა, ცხადი და ადვილი მისახვედრი შეიქნება თქვენთვის, ძვირფასო მსმენელნო, თუ გულ-დასმით და ყურადღებით ჩაუკვირდებით სმზოგადოთ წმინდანების ცხოვრება-მოქმედებას. რამ აღძრა, მაგალითად, და რომელიმე ძალამ მოიყვანა ჩვენს ქვეყანაში ასურელ მამათა საღმრთო გუნდის ბრწყინვალე თვალი, ღირსი მამა ანტონ მარტომყოფელი, რომლის ხსენებასაც ასრულებს დღეს საქართველოს ეკლესია. რომელი სიტყვა, რომელი ნაბიჯი, რომელი მოქმედება გნებავთ დამისახელოთ ამ ნეტარი მამის ცხოვრებიდან, რომ ამ სიტყვაში და მოქმედებაში არ გამოსჭვიოდეს ანტონის გულითაღი რწმენა, რომ იგი სიტყვა და მოქმედება არ გამოსთქვამდეს ამ მამის სარწმუნოებრივ შეხედუ-

ლობას? აღფრთოვანებული მაცხოვრის განუსაზღვრელი სიყვარულით, აღნთებული ქრისტესთან ყოფნისა, მუდამ მისი მზერით დატკობის სურვილით იმ ზომამდე, რომ ვეღარ სთმობდა მაცხოვრის ხელთ-უქმელი ხატის მოშორებას მკერდიდან, ღირსი ანტონი გამოეთხოვა თავის სამშობლოს და მოვიდა ჩვენს ქვეყანაში იმ აზრით, რომ ქართველების გულშიაც ჩაენათებია ქრისტეს სიყვარულის ბრწყინვალე ღამპარი. ანტონმა დაისადგურა ერთ უდაბურ და მიუვალ მთის წვერზედ, რომელიც შორავს ქ. თბილისს აღმოსავლეთით ოც-და-ათი ვერსის მანძილით, ფიცხელი მარხულობა, ღმერთზედ ფიქრი, მინდობა მთელი არსებით უფალზედ, მხურვალე ლოცვა და ცრემლთა ფრქვევით ვედრება, რომ ღმერთმა ააცილოს ყველას უკეთურობა, მიანიჭოს სოფელში მყოფთ მშვიდობა და სიმრთეღე, უკუერთხოს მათ შრომა, აცოდინოს სიტკობება ღვთის-მსახურებისა— აი რითი სულდგმულობდა, რას არიგებდა დღე მუდამ და რა მიაჩნდა თავისი ქვეყნიური ცხოვრების საგნად მარტომყოფ მოღვაწე მამას.

მაღე სოფელშიც შეიტყო ანტონის საკვირველი ცხოვრება. ამ ღირს მამას ხორციელ სასაზრდოდ მიჩენილი ჰყავდა ღვთისაგან ორი ფური ირმისა; ფურები ყოველ დღეს ერთსა და იმავე დროს მოდიოდნენ ღირსთან და იგი სწველაჲდა მათ. ერთხელ ფურები მოცივიდნენ ანტონთან არა ჩვეულებრივ დროს, მეტად შეშინებულები იყვნენ და ჭრილობისაგან გამწარებული მათი ნუკრი თრთოდა მთელი სხეულით. ანტონს ვერ გაეგო, რის გამო მოხდა ეს ამბავი. პირუტყვებმა ანიშნეს ანტონს, რომ იგი ვაჰყოლოდა მათ, ღირსი მამა ვაჰყვა ფურებს და ცოტა ხნის შემდეგ შეხვდა მონადირეს, რომელსაც დაეფრთხო ირმები და დაეჭრა ნუკრი. გაოცდა მონადირე, რადგანაც სრულებით არ მოელოდა ასეთ უდაბნო და ყრუ ალაგში კაცის ნახვას. ვინ ხარ შენ, სად ცხოვრობ და რას აკეთებო, გამოეხმაურა სისწრაფით მონადირე უცხო კაცს. ანტონმა ხმა არ გასცა მონადირეს, ხელით ანიშნა მას თავისი სადგური. მონადირე იყო მახლობელი სოფელის უმფროსი, მან შეურაცხებად მიიღო ანტონისაგან ხმის გაუცემლობა, ბრაზი მოერია და უბრძანა მხლებლებს, რომ ანტონი წაეყვანათ სოფლის სამქედლოში და იქ გახურებული მახვილით მოეჭრათ მისთვის ხელები. სისწრაფით შეასრულეს

ბძანება: ანტონი მიიყვანეს სამქედლოში, მქედელი უკვე მზად იყო მოექნა ღირსისთვის გახურებული შანთი, რომ უცბათ გაუშეშდა მას ორივე ხელი და გულ-შედონებული წაიქცა მიწაზე. ბევრი ეცადნენ მოებრუნებიათ და ეშველათ რამე მქედლისთვის, მაგრამ ამაოთ და უნაყოფოთ დარჩა ყველა ღონისძიება. ბოლოს ისევე ანტონს შეებრაღა დასჯილი და განჰკურნა იგი თავისი მადლიანი მარჯვენის შეხებით. სასწაულმა გული მოუღობო და მოაქცია ქრისტიანობაზედ როგორც ამაყი უმფროსი სოფლისა, ისე სხვები; სისწრაფით მოეფინა ანტონის ცხოვრების ამბავი გარეშემო მცხოვრებში და სულ ჩქარა მისი საცხოვრებელი უღაბნო შეიქნა ღვთის მსახურთა ქალაქად. იმ დროდან დაწყებული დღევანდლამდე იქება და იღიდება ამ ალაგს ღირსი ანტონის სხეული და ძნელად წარმოსთქვამს კაცის ენა, რამდენი სასწაული ხდება დღესაც ამ დიდებული მამის წმინდა საფლავზედ!

მაგრამ ვილას ახლოვს დღეს ან ანტონი, ან სხვები! ხუთი დღის წინეთ ეკკლესია ასრულებდა ნინოს ხსენებას და მედღესასწაულენი კი არსადა სჩანდენ; ტაძარი ცარიელი იყო, ხახლხს აზრათაც არ მოსვლია ეკკლესიაში შეხედვა! ან ეხლა აქ მყოფნი განა იმის გამო მობრძანდით, რომ ანტონის ხსენების დღეა? არა ვგონებ; შესაძლოა ასში ორმაც არ იცოდით ეს ამ წამამდე.

„მძიმე და შეუძლო რამეს გვავალებთო, იფიქრებს ვინმე თქვენგანი; — ჩვენ რომ ანტონს წავბადოთ, უნდა ხელი ავიღოთ ჩვენს ოჯახობაზედ, სახლკარზედ, მამულ-დედულზედ, გადავიხვეწოთ უღაბნოში და სასტიკ მოღვაწეობაში დავლიოთ იქ ჩვენი დღენიო, ეს კი მეტად სამძიმოა და არც ყველას დაევალებათ“. დიად, ოღონდაც რომ ამ გვარად


მიბაძვა ანტონის წმინდა ცხოვრებისა ყველას არ მოეთხოვება, ოღონდაც რომ იგი აუტანელი და მძიმე უღელი იქნებოდა მრავალთათვის! არა, მე აზრათაც არა მაქვს ამგვარი რამეს თქმა. ანტონის ცხოვრება განხორციელებათ, საქმედ ქცევაა ჩვენი სარწმუნოების მოძღვრების ცოდნისა, ჩვენ კი ცოდნა გვაქვს ამ მაღალი მოძღვრებისა, მაგრამ მაგრა ჩავვიკეტნია იგი გონების საღაროში და, სამწუხაროდ, არ გვინდა გამოვიყენოთ იგი ცხოვრებაში. აი ეს გარემოება შეადგენს ჩვენს ნაკლულოვანებას, ჩვენს სარწმუნოებრივ სიმახინჯეს, თუ გნებავთ, სარწმუნ-

ნობის უარყოფას და შეუღაცებას. აქ საჭიროა მიბაძვენი გავხედეთ ღირსი მამა ანტონის ცხოვრებისა. ნუ წახვალ უღაბნოში, ნუ გაექცევი ოჯახს და სოფელს, ნუ გაიხდი სავალდებულოდ ფიცხელს და განუწყვეტელ ლოცვა-მარხულობას, ხოლო განუშორებლად იქონიე შენც, მსგავსად ღირსი მამა ანტონისა, ხატი შენი მაცხოვრისა და, ყოველი საქმის გადაწყვეტამდე, ყოველი სიტყვის წარმოთქმამდე, ყოველი გრძნობის განხორციელებამდე დაეკითხე შენს თავს და გადასწყვიტე ხოლმე—სათანადო იქნება თუ საწყენი ქრისტესთვის შენი სიტყვა, შენი საქციელი, შენი გრძნობის გამოთქმა. შენ გამოგცდის ბოროტი სული სხეულის ბიწიერი მძლავრი მოთხოვნების აღქვით, წარმოიდგინე უმანკო სახე ქრისტესი და გადასწყვიტე—შებიღე ამ უმანკოებას შენი მოთხოვნების დაკმაყოფილებით თუ არა? შენ გულ-ფიცხელობ და ვერ აგიტანია მეზობლისაგან გალანძღვა, შეხედე მაცხოვრის მშვიდობიან სახეს და მოიგონე, რა გვარ საქციელს გავალებს იგი ამისთანა შემთხვევებში. შენა ხარ პატრონი დიდი სიმდიდრისა, გაიხსენე მაცხოვარი—მომცემი ამ სიკეთისა და მოძღვრება მისი—სად უნდა ინახავდე სიმდიდრეს. შენ გიჭირავს საზოგადოებაში საპატიო ალაგი და წარჩინებული ხარისხი, მიხედე მაცხოვრის ხატს და წარმოიდგინე—რისთვის აღგამაღლა და პატივცემულ გყო მან. შენ შეუბყრიხარ სიზარმაცეს, გამსჯელობისა, ოფლის ღვრისა და მომჭირნეობის სიძულვილეს, აბა თვალი გაუხწორე მაცხოვრის სახეს! შენ გემძიმება შენი ობლობა, მაგრამ აბა შეხედე იმის სახეს, რომელსაც დედად და ნათესავებად მიაჩნდა ღვთის სიტყვის აღმასრულებელი და სხ. და სხ.

აი რა აზრი აქვს ღირსი მამა ანტონის ცხოვრებას და რა მხრით უნდა ვბაძავდეთ მას დიდი და პატარა!

ღირსო მამაო ანტონ, მოგვეც ჩვენ შენებრი შეგნება ჩვენი მაღალი სარწმუნოებისა და ნუ მოგვაკლებ შენს მეოხებას წინაშე შენგან შეტკობილი მაცხოვრისა. ამინ.

ქვისკაზხისი ლეჟანდი.



# სამეურნალო და ჰიგიენური

გ ა ნ ე ო ო ზ ი ლ ე ბ ა .

## მკობის საუბარი

გულისხმიერ მკითხველთან.

(საუბარი პირველი).

გაგრძელება\*)

წარსულ წელში ჩვენ შევეჩერდით იმის განმარტებაზე, თუ რა არის ჯანმრთელობა და რა არის ავადმყოფობა.

მეცნიერება დიდი ხანია, რაც იძიებს ავადმყოფობის მიზეზებს და როგორც ძველად, ისე ეხლაც, ეს მიზანი წარმოადგენს ერთ უმთავრესს ზრუნვას განათლებულის კაცობრიობისას. მეცნიერნი იკვლევდნენ და ხალხის მეთაურნი-კი მათის რჩევით, რამდენადაც შესაძლებელი იყო, სარგებლობდნენ და სავალდებულოდ იდგენდნენ ამაზედ მზრუნველობას. მაგრამ ისეთის სისწრაფით არასოდეს არ უვლია საქმიანო მეცნიერებას, როგორც ამ უკანასკნელ ასი წლის განმავლობაში იარა. ამ ხანებში მას დაეტყო დიდი წარმატება. რასაკვირველია, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის სათუო, გაუგებარი და ძნელი მისახვედრი, მაგრამ მაინც ეხლანდელი ცოდნა გაცილებით უფრო დაწინაურებულია წინანდელზე. მეცნიერებამ კარგა ხანია გაინთავისუფლა თავი ყოველგვარ ცრუმორწმუნეობისაგან და ყველაფერს საფუძვლად დაუდო ის, რაც-კი ნამდვილის დაკვირვებითა და გამოცდილებით შეიძლება დამტკიცდეს. რაც-კი გამორკვეულია და სარწმუნოდ შემოდებული, ყოველივე დამყარდა სინამდვილეზე და ცხადზე. და რაზედაც ჯერ კიდევ გამორკვეულ პასუხს ვერ იძლევა მეცნიერება, იმედია, მომავალში მაინც მოიცემა, და ჩვენი შთამომავალნიც იმდენადვე ბევრს შეიტყობენ, დაწინაურდებიან ჩვენზე, რამდენადაც ჩვენ ვართ ეხლა დაწინაურებული ჩვენს წინაპრებზე მეცნიერების შენაძენით.

საჭიროა ოღონდ ძველებურის ცრუმორწმუნეობების მიტოვება და იმისი შეგნება, რაც ეხლან-

დელმა მეცნიერებამ საყოველთაოდ მიიჩნია უუსაქიროესს ქვაკუთხედად. ყოველი სხეულის არსებობა უნდა შეეფარდოს იმ პირობებსა და ვითარებას, რითაც იგი გარემოცულია, თანაც უნდა სცდილობდეს ცუდის აშორებას და კარგის მისწრაფებას, თუ-კი ეს შესაძლებელია. ჩვენც ძალა-უნებურად თავიდან ვერ ავიშორებთ ამ კანონს, და რომ გამოურკვევლად არ ვიქნეთ და არ გავხდეთ გარეშე გარემოების უბრალო მსხვერპლად—უნდა შევიგნოთ ყოველივე, რაც-კი რიგიანი არსებობისათვის არის საჭირო.

რასაკვირველია, რიგიანი არსებობისათვის ბევრი რამეა საჭირო, მაგრამ ჩვენ ამ უმად მხოლოდ იმაზე გვაქვს საუბარი, რაც-კი სხეულის რიგიან არსებობას შეეხება ჯანმრთელობის და ავადმყოფობის მხრით. თუ რა არის ჯანმრთელობა, კარგად-მყოფობა და ავადმყოფობა—ეს უკვე განმარტებულიც გვქონდა. ეხლა უნდა მოკლედ მოვიხსენოთ, თუ რა გვარი არის ადამიანის ავადმყოფობა, და რა უმთავრესს ჯგუფებად იყოფა ეს ჩვენი გამაბეზრებელი და ყველასათვის არა სასურველი სტუმარი.

ავადმყოფობა რომ ბევრია, —ამას ყოველი ადამიანი ნათლად ჰხედავს და გამოცდილიც არის. მიზეზიც მათი გამჩენი და ხელის შემწყობი სხვადა-სხვა გვარია. მეცნიერებამ ცალკე ჯგუფებად დაჰყო ყველა სხეულება და თვითეულს განსაკუთრებული ალავი და სახელი მიუნიჭა. ჩვენ აქ არ შევეუდგებით ამ ნუსხის დასახელებას. გავანაწილებთ ავადმყოფობას უფრო მდაბიურად, ადვილგასაგების ნუსხით.

ავადმყოფობის სათავე ორგვარია ერთი მემკვიდრეობით დაყოლილი, ხოლო მეორე შემდეგ შეძენილი. პირველი ავადმყოფობა სხეულს დაჰყვება თვით დედის მუცლიდან და თავის გავლენას დააჩენს სხეულს ხან სამუდამოდ და ხან დროებითად. ზოგი ავადმყოფობა პირდაპირ გადადის შთამომავალზე, ზოგი-კი მხოლოდ ნიადაგს მისცემს სუსტს, და ამ ნიადაგზე-კი, როგორც წინად მომზადებულ რამეზე, ვითარდება შემდეგში ან თვით მსგავსი ან სხვა რაიმე ავადმყოფობა. ამის მაგალითები თვით ხალხმავე იცის, უუძველეს დროიდგან არ დარჩენია ეს შეუნიშნავი და კიდევაც ხალხის სიბრძნემ ანდაზითაც გამოხატვა ეს თავისი რწმენა:

\*) იხ. „მწყემსი“ № 20. 1902 წ.



„ბაბუის (პაპის) ნაქამმა ტყემალმა შეილი-შვილს კბილი მოჰკვეთაო“. ამის მაგალითებს და დაწვრილებით განმარტებასაც მაშინ მოვიხსენიებთ, როდესაც მემკვიდრეობაზე გვექმნება ბაასი\*). მემკვიდრეობით გადმონაცემი ავადმყოფობა ან მიდრეკილება ავადმყოფობისადმი ისეთია, რომ ზოგჯერ შეუძლებელია მისი თავადგან აშორება, ზოგჯერ კი რიგიანის ხელის-შეწყობითა და მოვლით შესაძლოა ნაკლის გამოკეთება.

ეს დარგი რომ ცალკე ვიგულისხმოთ, დარჩება მრავალგვარი სხეულება, რომელიც მერე უჩნდება სხეულს. მიზეზი ამისა ბევრგვარია. მოკლედ ჩამოვთვლით და დავპოფთ ჯგუფებად მიზეზის-და მიხედვით. მათში უმთავრესად შემდეგი ავადმყოფობაა:

ადგილობრივი ავადმყოფობა, რომელსაც აჩენს ან ხელს უწყობს რომელიმე ადგილის ცუდი თვისება. მაგალითად: ნიადაგის უვარგისობა, დაცემული მდებარეობა, ჭაობის სიახლოვე ან თვით ჭაობი, დაბურული ღრე, უვარგისი წყალი, მავნე ნივთიერებით შეზავებული და სხვა. ყოველივე ეს ნელ-ნელა და შეუმჩნეველად სხვა-და-სხვა სენს უჩენს ადამიანს, ღონეს აცლის და ასუსტებს მას. ამიტომაც ზოგაერთი ადგილი ისეთი თვისებისაა, რომ იქ ჩვეულებრივია რაიმე სენი, ან ხან-და-ხან იჩენს თავს ან და მუდმივად მძვინვარებს, ასე რომ მისი აღმოფხვრა თითქმის შეუძლებელი ხდება.

ღროის ცვალებებით გამოწვეული ავადმყოფობა, რასაც ხელს უწყობს სიცხე და სიცივე, ზაფხული და ზამთარი, ნოტიო და წვიმა და სხვა-და-სხვა ბუნების მოვლინებანი. ბევრია ამ დარგის ავადმყოფობა და ყოველს წელს ამ ცვლილებას ღროისა და ამინდისას მოჰყვება ხოლმე მათი მძვინვარებაც.

გაუბრთხალებობის სენი, დაუდევნელობით, თავის მოუვლელობით გამოწვეული, როდესაც ადამიანი საკმაო ღონისძიებას არ იღებს და სხეულს ისეთ პირობებში ამყოფებს, ან ისეთს რაიმეს დაატებს, რის ატანაც მას დაუზიანებლად არ შეუძლია, ესე იგი, როდესაც სხეული უნდა გარდასცდეს იმ ჭედს, იმ საფეხურს, რომელსაც იგი ვერ შეეფარდება. ამგვარი ძალ-დატანება ყოველთვის

გამოიწვევს სხეულში არეგ-დარეგას, რასაც შეიძლება მოჰყვეს ან დროებითი და ან სამუდამო უწყსოება სხეულის არსებობაში. ამავე დარგს ეკუთვნის:

უილაჯობის, სიღარიბის სენი, როდესაც კაცის ხელთ არ არის სხეულის იმ პირობებში ჩაყენება, როგორც-კი სასურველია და სანატრელი თვით მისი პატრონისათვის. ამ შემთხვევაში ადამიანი ძალა-უნებურად უუსაქიროებს მოთხოვნილებაზე-დაც-კი ხელს იღებს და იკლებს მას. რასაკვირველია, ასეთი ცვლილება, თუ ხანგრძლივია და ზომასაც გადაჭარბებული, დაუბრკოლებლად არ ჩაუვლის სხეულს. ნელ-ნელად და შეუმჩნეველად ძალა ეკლება. მას და სხვა-და-სხვა ავადმყოფობაც ადვილად სჩაგრავს და იმონებს.

სიჭარბის, სიუსხვის სენიც ამას არ ჩამოუვარდება; თუმცა ამის მიზეზი ისეთი შესაწყნარებელი არ არის, როგორც სიღარიბის. იქ თუ უქონლობით მოსდის კაცს შეცდომა—ამას რაღა გაეწყობა! ეს ხომ კაცის ხელთ არ არის და ხშირად თავს არ შემოველებს? მაგრამ სიჭარბის და სიმდიდრის გამო რომ ადამიანი თავს იფუჭებდეს—ეს კი შეუწყნარებელი რამ არის! ამის მაგალითებს ძალიან ბევრს იძლევა თანამედროვე ცხოვრება ყველგან და ყოველთვის. ბევრნაირიც არის ის სენი, რომელიც ამგვარ პირებს უჩნდებათ მხოლოდ იმისთვის, რომ ზომა არ იციან და საზომად მხოლოდ სიხარბე აქვსთ და მსუნაგობა. ამ ნიადაგზე მრავალნაირი უწყსოება ხდება სხეულში, რომელიც თან-და-თან ძირს უთხრის ჯანმრთელობას და ხშირად სამუდამოდაც ჰსპობს მას. შემდეგში ბევრს ეკლებიან ხოლმე, აღარაფერს აღარ იზოგავენ, მაგრამ გვიანდაა. ყველაფრის შოვნას მოახერხებენ ხოლმე თავისი სიმდიდრით, გარდა ჯანმრთელობისა; და თავისი წონა ფულიც რომ გაიღონ, ვედარ იბრუნებენ მას, რაც თავ-დაუტყერელობით და მსუნაგობით აქვსთ წაგებული. ცხოვრების მსჯავრი შეუწყნარებელია და კიდევაც ამიტომ ბუნება იმათ უფროც სჯის თავის კანონების დარღვევისათვის.

ქიში ვ. ღ—ქე.  
(შემდეგი იქნება)

\*) იხ. ცალკე წიგნაკი მემკვიდრეობაზე, რომელიც მალე გამოვა.



ანტონ მარტომეოფელი.

**პირილაუი** კალობის მასწავლებელი სერგეი ჯინჭველაძეილი ასწავლის ქართულს საეკლესიო და საერო კალობას ნოტების საშუალებით. თანაც ამზადებს მოსწავლეებს საქალაქო სასწავლებლისათვის.

ბინა: ბესარიონ მოდებაძის სახლი— სახინის შირდაშირ.

ამით ვაუწყებ ჰატეცემულ საერო და სამღვდლო წოდებას, რომ მე ვავხსენი დაბავურილაში სადურგლო კანკელისა და იკონოსტასების დასამზადებლად. კანკელებს, ცალკე სამეუფეო კარებსაც ვიღებთ ძლიერ იაფად. იმედი გვაქვს, რომ ჰატეცემული სასოკადოება და სამღვდლოება ჩვენი ნაკეთებით არ დარჩება უკმაყოფილო.

იკონოსტასის მკეთებელი ტ. ჯიშკარიაი.

# განცხადებანი.

მიიღება ხელის-მოწერა 1903 წლისათვის მრავალწრივულ გამოსცემათა ქართულს

„მწეემს“-ზე

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ქურნალის ფასი:

- |                         |                         |
|-------------------------|-------------------------|
| 12 თვით «მწეემსი» 3 მ.  | 6 თვით «მწეემსი» 2 მ.   |
| — ,, რუსული ,, 3 მ.     | — ,, რუსული ,, 2 მ.     |
| — ,, ორივე გამოცემაზე » | — ,, ორივე გამოცემაზე » |

# ქუთაისში

ს. მ. ბ. იოიუყრიას

ს ა ა გ ა დ მ ე უ რ უ რ უ ი,

რომელიც იმყოფება მთი უმაღლესობის შრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგო, დედათა და თვალთ ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით, გადაძდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ დებულობს.

წ.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ლამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе. Дозволено цензурою (Архимандритъ Георгій) 15 февраля 1903 г.

Типог. редакци журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.